

„დამტკიცებულია“

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2010 წლის 08 ნომბრის №27
დადგენილებით



**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო
პროცესების მარეგულირებელი წესი**
(*ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04-01/26
დადგენილებით*)

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე	4
მუხლი 2 ¹ . საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი....	6
მუხლი 3. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი	7
მუხლი 4. გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვა ხელოვნების უნივერსიტეტში	9
მუხლი 4 ¹ . კრედიტების აღიარება	11
მუხლი 4 ² . ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება	14
მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი.....	14
მუხლი 5 ¹ . ხელოვნების უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი.....	22
მუხლი 6. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის გაფორმება-წარდგენა.....	22
მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის პროცედურა.....	26
მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის დაცვა	27
მუხლი 9. კვალიფიკაციის მინიჭების წესი.....	28

**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების
მარეგულირებელი წესი**

(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04-01/26 დადგენილებით)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებრე წესი განსაზღვრავს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ხელოვნების უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსა და პროცედურებს. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04-01/26 დადგენილებით)*

2. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)*

3. ხელოვნების უნივერსიტეტი ახორციელებს ორი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს: პირველი საფეხური - ბაკალავრიატი, მეორე საფეხური - მაგისტრატურა. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)*

4. უნივერსიტეტი ახორციელებს მასწავლებლის მომზადების ერთწლიან, 60-კრედიტიან პროგრამას. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის №04-01/21 და 2019 წლის 06 თებერვლის №04- 01/49 დადგენილებებით)*

4¹. მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) პროგრამის კრედიტში საათების რაოდენობას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან შეთანხმებით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 ოქტომბრის №04-01/20 დადგენილებით)*

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. საშემსრულებლო მიმართულებით ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ შემოქმედებით სამუშაოს და ანალიზს, თეორიული მიმართულებით კი – კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზეც ის შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენას.

6¹. ხელოვნების უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივლისის № 04- 01/46 დადგენილებით)*

7. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და ასევე, საშემსრულებლო-შემოქმედებით სპეციალობებზე შემოქმედებითი ტურის წარმატებით გადალახვით ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის №04-01/21 დადგენილებით)*

7¹. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ხელოვნების უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის

უფლების მქონე აბიტურიენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი/სტუდენტი ვალდებულია გაიაროს საშემსრულებლო-შემოქმედებით სპეციალობებზე შემოქმედებითი ტური, არაქართულენოვანმა პირმა ასევე უნდა წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04- 01/26 დადგენილებით)**

8. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 26 აპრილის №04-01/32 დადგენილებით)**
(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №04-01/27 დადგენილებით)

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობს შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის) მოთხოვნებს. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიო, გასაგები ენით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)**

3. საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, გამოიწვევს შემთხვევაში, აგრეთვე დოქტორანტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ა) უძღვება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და პროგრამის სრულყოფის მიზნით მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს;

ბ) უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან; **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 26 აპრილის №04-01/32 დადგენილებით)**

გ) უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;

დ) კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას;

ე) ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სისტემატურ ანალიზს;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციას აწვდის და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;

ზ) აგვარებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;

თ) პროგრამის განვითარების მიზნით, დარგის მოთხოვნათა შესაბამისად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მაისის №04-01/59 და 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)**

4. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა აისახოს:

ა) პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების რეკვიზიტები;

- ბ) სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
- დ) განათლების საფეხური;
- ე) კვალიფიკაცია და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ვ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS);

ზ) სწავლების ენა - სწავლების ენა არის ქართული (საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე განხორციელება დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან);

თ) სწავლის საფასური;

ი) *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 26 აპრილის №04-01/32 დადგენილებით)*

კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. საშემსრულებლო მიმართულებით ნათლად უნდა იყოს გაწერილი შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები. სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში დანართის სახით უნდა მიეთითოს მისაღები გამოცდის/გასაუბრების თემატიკა სათანადო ლიტერატურით;

ლ) პროგრამის მიზანი;

მ) სწავლის შედეგები - უნდა ეყრდნობოდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მის საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში); ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

ნ) დასაქმების სფერო;

ო) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

პ) სწავლებისა და სწავლის მეთოდები - უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა;

ჟ) სწავლის გაგრძელება;

რ) სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა;

ს) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

ტ) სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

უ) სასწავლო პროცესების სტრუქტურა (სასწავლო გეგმა) - მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. კომპონენტებს შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი, რომელთა ერთობლიობამ უნდა უზრუნველყოს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევა. სასწავლო გეგმაში მიეთითება კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, კოდი, დაშვების წინაპირობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება;

ფ) შედეგების რუკა - სასწავლო გეგმას უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან;

ქ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის CV

პროგრამას უნდა დაერთოს ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსი. ***(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)***

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს აირჩიოს 30/60 კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა minor გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელიც არ ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის გავლას, რომელიც წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და ორიენტირებულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განვითარებაზე. დამატებითი სპეციალობის გარდა, სტუდენტს 30/60 კრედიტის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/20 კრედიტიანი ბლოკები ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან წინაპირობის გათვალისწინებით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32; 2019 წლის 06 თებერვლის №04-01/49 და 2021 წლის 19 ნოემბრის №04-01/11 დადგენილებებით)*

7. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)*

მუხლი 2¹. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შეფასების წესი
(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის №04-01/21 დადგენილებით)

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციისთვის მომზადების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანი რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სამუშაო ჯგუფის (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი) შემადგენლობას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას კურირებს პროგრამის ხელმძღვანელი. სამუშაო ჯგუფს კოორდინაციას უწევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იგი ადგენს პროგრამის შესაბამისობას ხელოვნების უნივერსიტეტში და შესაბამის ფაკულტეტზე მოქმედ სტანდარტებთან, საქართველოში არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 და 2023 წლის 26 აპრილის №04-01/32 დადგენილებებით)*

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი სრულყოფილად მომზადებულ პროგრამაზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს შესაბამისი დადგენილების პროექტს.

3. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და იღებს გადაწყვეტილებას მისი მიზანშეწონილობის შესახებ.

4. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა ეგზავნება ხელოვნების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მის მიზანშეწონილობას და დასამტკიცებლად წარუდგენს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

5. დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დამოწმებული ასლი აკრედიტაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ ცხადდება პროგრამაზე მიღება.

6. აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის ოდენობას პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

7. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე ისმენს პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშს მისი მიმდინარეობის შესახებ, ამ პროცესში არსებული ხარვეზების თუ სხვა სახის პრობლემების თაობაზე. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

9. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი აქტივობების კოორდინაცია ევალება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

10. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხელოვნების უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შეფასება.

11. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე

ხორციელდება პროგრამის განახლება, მოდიფიცირება.

12. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

13. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას კოორდინირებას უწევს ხელოვნების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

14. პროგრამების შეფასებას საწყის ეტაპზე ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

15. შეფასების პროცესში ჩართული არიან პროგრამის ბოლო წლის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.

16. შეფასების პროცესი იწყება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ანკეტირებით (სპეციალური კითხვარების საშუალებით).

17. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კითხვარების ანალიზის, სტუდენტთა რეიტინგული მონაცემებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

18. რეკომენდაციები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს.

19. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით პროგრამაში შესული ცვლილება მტკიცდება აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

20. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს სწავლა განაგრძოს შეცვლილ/მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აირჩიოს მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, ან ისარგებლოს მობილობის უფლებით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ოქტომბრის №04-01/03 დადგენილებით)*

20¹. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტების თავსებადობის განსაზღვრის შედეგად სტუდენტს დააკლდება შესაბამისი აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, იგი უფლებამოსილია აინაზღაუროს დანაკლისი მოდიფიცირებული პროგრამის სასწავლო კურსებით წელიწადში 75 კრედიტის ფარგლებში მოდიფიცირებული პროგრამის დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების საფასურის გადახდის გარეშე. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ოქტომბრის №04-01/03 დადგენილებით)*

21. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის, აკადემიური რეგისტრაციის არგავლის, პროგრამაზე სწავლის მსურველთა კონტინგენტის სისტემატური უარის გამო ან არასაკმარისი აკადემიური რესურსის შემთხვევაში პროგრამაზე მიღება აღარ გამოცხადდება. ფაკულტეტს შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების, აგრეთვე, აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 3. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი

1. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსით სარგებლობს ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა და ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ხელოვნების უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

2. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

2¹. სოციალური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე 5-ზე ნაკლები

აბიტურიენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანს, დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით შეუძლია შესთავაზოს სტუდენტებს, მობილობით გადავიდნენ სხვა, მათთვის სასურველ პროგრამაზე. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტის მფლობელს. მუსიკის ფაკულტეტზე აგრეთვე სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №04-01/05 დადგენილებით)*

4. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხისმქონე პირს.

5. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მაისის №04-01/59 დადგენილებით)*

6. ხელოვნების უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ:

ა) სწავლების თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში, ლექციების ცხრილისა და სასწავლო კურსის პროგრამების დამტკიცების საკითხებში;

ბ) სწავლის თავისუფლებისათვის – სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფაში.

7. სტუდენტი ვალდებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებადა შინაგანაწესი.

71. სასცენო ხელოვნების სამსახიობო მიმართულების სპეციალობის მაპროფილებელ საგანში/საგნებში სემესტრის მანძილზე განსაზღვრული სალექციო საათების 25%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2011 წლის 21 ნოემბრის №86 დადგენილებით)*

72. კინო-ტელე ხელოვნების მიმართულებით სემესტრის მანძილზე სპეციალობის მაპროფილებელ საგანში/საგნებში სააუდიტორიო (ლექცია/პრაქტიკული) საათების 50%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)*

8. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04-01/41 დადგენილებით)*

9. სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუწყდეს:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო;

ბ) კანონმდებლობით დადგენილ ვადასა და უნივერსიტეტის მიერ დამატებითი სემესტრებისათვის განსაზღვრულ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობის გამო. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04-01/41 დადგენილებით)*

ბ¹) ერთიდაიმავე სასწავლო კურსის: სპეციალობის საგნის ორჯერ და არასპეციალობის საგნის სამჯერ გავლა და კრედიტის ვერმიღება. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის №04-01/19 დადგენილებით)*

გ) პირადი სურვილით;

დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვისას;

ე) გარდაცვალებისას;

ვ) ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სხვა საფუძვლებით;

ზ) უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, განიხილავს ფაკულტეტის დეკანი. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

11. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარდა, ხელოვნების უნივერსიტეტში მოქმედებს სტატუსის შეჩერების წესიც. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველია: აკადემიური შევებულება, სწავლის საფასურის გადაუხდელობა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა პირობები. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღდგენის მოთხოვნით მიმართავს რექტორს. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი რექტორს წარუდგენს დასკვნას გავლილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შესახებ, აქვე უნდა აღინიშნოს სწავლების რომელი ეტაპიდან უნდა გააგრძელოს სტუდენტმა სწავლა.

12¹. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტის, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღდგენა ხდება შიდა მობილობის წესით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მარტის №04-01/29 დადგენილებით)**

13. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან სტატუსის აღდგენის შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი.

მუხლი 4. გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვა ხელოვნების უნივერსიტეტში (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 27 აპრილის №04-01/21 დადგენილებით)

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის პროცესი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში – მართვის სისტემა). **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

3. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

4¹. მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ აბიტურიენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

ბ) *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 აპრილის №04-01/26 დადგენილებით)

42. ამ მუხლის 41 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 აპრილის №04-01/26 დადგენილებით)*

5. ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი გამოითხოვს ინფორმაციას ფაკულტეტებიდან სტუდენტთა ვაკანტური ადგილების თაობაზე. ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი სახით, ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით დადასტურებული. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

6. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სტუდენტთა მობილობისათვის და შიდა მობილობისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების საფეხურების მიხედვით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მარტის №04-01/29 დადგენილებით)*

7. საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში წარმოდგენას დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

8. მართვის სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ ხელოვნების უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი განაცხადით მიმართავს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს. შიდა მობილობით ჩარიცხვის მსურველი რეგისტრაციას გადის მხოლოდ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

9. მობილობის მსურველი პირების ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობის დადგენის მიზნით თეორიული მიმართულების პროგრამებზე (საჭიროების შემთხვევაში) ტარდება გამოცდა, ხოლო საშემსრულებლო პროგრამებზე შემოქმედებითი ტური სპეციალობაში. გამოცდის/შემოქმედებითი ტურების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 51 ქულა (0-50 ქულა „ჩაიჭრა“). *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 თებერვლის №04-01/24 და 2021 წლის 08 ოქტომბრის №04-01/03 დადგენილებებით)*

10. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის №04-01/54 დადგენილებით)*

11. სტუდენტთა მობილობის წესით გადმოყვანის დროს იქმნება საშემსრულებლო-შემოქმედებით სპეციალობებზე შემოქმედებითი ტურის, ხოლო თეორიული მიმართულებით - სპეციალობის საგანში (აუცილებლობის შემთხვევაში) საგამოცდო და სააპელაციო კომისიები. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მარტის №04-01/23 და 2019 წლის 27 თებერვლის №04-01/54 დადგენილებებით)*

12. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნას, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად გადასცემს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის №04-01/54)*

დადგენილებით)

13. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი ფორმდება მართვის სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის უფლების მქონე პირთა სიის გამოქვეყნების შემდეგ. ბრძანების პროექტის რეესტრში ასახვას უზრუნველყოფს რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილება. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის**

№04-01/54 და 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)

14. ბრძანების პროექტზე მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ (1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში). პროცედურას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

15. მობილობის ფარგლებში სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე ბრძანება იგზავნება მართვის სისტემაში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

16. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლი გადაეცემა რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს მობილობით ჩარიცხული პირის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა რეესტრში ასახვას.

18. მობილობის წესით ჩარიცხვის, აღდგენის ან სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ხელოვნების უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

19. ხელოვნების უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული პირების სტუდენტის სტატუსი აღდგენა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10/ნ 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანების საფუძველზე.

20. ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი უფლებამოსილია სწავლების ძირითად ვადებში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტს.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.

შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 7 აპრილის №04-01/14 დადგენილებით)**

მუხლი 4¹. კრედიტების აღიარება (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის №04-01/13 დადგენილებით)

1. ამ წესებით რეგულირდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის მსურველი პირის, ასევე უნივერსიტეტის შიდა მობილობის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოგროვილი კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპები.

2. უნივერსიტეტში სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება ხდება სტუდენტის მიერ შესწავლილი ათვისებული სასწავლო კურსების/მოდულების (სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისი დაგროვილი და ზოგადი კომპეტენციების) ანალიზის საფუძველზე.

3. აღიარებას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხულ, ან შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება ფორმდება კომისიის დასკვნის საფუძველზე. აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში ჩართულები არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელები, კრედიტების აღიარების პროცედურას ზოგად კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

5. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსვლის მსურველ ან აღდგენის მსურველ სტუდენტთა (შემდგომში სტუდენტი) კრედიტების აღიარება ექვემდებარება ECTS კრედიტებთან და სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის დადგენას.

6. მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის აღიარებას ექვემდებარება ყველა სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტი. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად დგინდება სტუდენტის მიერ გავლილი და სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა ახალი პროგრამის კურსის დასახელებას, დასაშვებია ზოგადი ხასიათის სასწავლო კურსის/მოდულის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო სპეციფიკური სასწავლო კურსის/მოდულის აღიარება შეიძლება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე.

8. დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის/მოდულის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ასეთ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც არჩევითი კურსი.

9. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა სრულად (60 კრედიტი), პროგრამა შესაძლებელია აღიარებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუ უნივერსიტეტში დამატებითი პროგრამის ანალოგი არ არსებობს და გაიწერება დიპლომის დანართში.

10. თუ მობილობის მსურველ სტუდენტს ათვისებული აქვს დამატებითი (minor) სპეციალობა არასრულად, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით სპეციალობას შეესაბამება მის მიერ გავლილი პროგრამის ნაწილისა და არჩევითი კრედიტების კონცენტრაცია.

11. თუ არჩევითი კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელ კრედიტების რაოდენობაზე მეტია, პროგრამის ხელმძღვანელი ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს, რომ მის მიერ შესწავლილი ყველა არჩევითი სასწავლო კურსი გაწერილი იყოს დიპლომის დანართში, აღიარებულ იქნება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი ყველა სასწავლო კურსი პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება და ჩაიწერება დიპლომის დანართში. *(გვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის №04-01/54 დადგენილებით)*

12. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტის მიერ გავლილი სპეციალობის კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს როგორც არჩევითი კურსი. თუ სტუდენტის მიერ გავლილი და/ან აღიარებული არჩევითი კრედიტების რაოდენობა უტოლდება პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული არჩევითი კრედიტების რაოდენობას, სტუდენტი აღარაა ვალდებული სწავლის შემდგომ პერიოდში შეისწავლოს არჩევითი საგნები.

13. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის კურსის/მოდულის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად, თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტი აღემატება უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეული სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტს, მაშინ ხდება მხოლოდ იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი).

14. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტი ნაკლებია უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისად მიჩნეული სასწავლო კურსის კრედიტზე, მაშინ შესაძლებელია სტუდენტის მიერ გავლილ კურსს/მოდულს პირობითად მიენიჭოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტი (მაგ., შესაძლებელია 4 კრედიტიანი კურსი აღიარებული იქნას 5 კრედიტიანად). ერთ კრედიტზე მეტის შემთხვევაში აღიარების პროცედურაში ჩართული პირები კონკრეტული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად ადგენენ აღიარების შესაბამისობას სტუდენტის მიერ გავლილი კურსის/მოდულის სილაბუსების ანალიზის შედეგად. ***(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 თებერვლის №04-01/54 დადგენილებით)***

15. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის ე.წ. პირველადი სასწავლებელი იყენებს განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი სასწავლებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან.

16. თუ მობილობის მსურველი სტუდენტის პირველად სასწავლებელს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა ახალი სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ საათებში. აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, კურსის მოცულობას (საკონტაქტო საათებს) დაემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები, მიღებული ჯამი გაიყოფა 25-ზე და დამრგვალდება მთელ რიცხვამდე.

17. სემესტრის განსაზღვრისას, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა მხოლოდ კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსებიც, რომლებიც ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულოა, მაგრამ მობილობის მსურველ სტუდენტს გავლილი ან აღიარებული არა აქვს.

18. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ.

19. ***(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 მარტის №04-01/23 დადგენილებით)***

20. ამასთან, საშემსრულებლო სპეციალობაზე დასაშვებია სტუდენტის ზოგად საუნივერსიტეტო და/ან თეორიული ხასიათის კურსის/მოდულის აღიარება, როგორც შესავალი შესაბამის მიმართულებაში, ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის საგნებთან თემატური შეთავსების საფუძველზე.

21. უნივერსიტეტის საშემსრულებლო სპეციალობებზე, ასევე, დასაშვებია სტუდენტის მიერ გავლილი იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სასურველი საგანმანათლებლო პროგრამით, ამ შემთხვევებში განვლილი კურსი შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც ე.წ. თავისუფალი არჩევითი კურსი.

22. ხელოვნების უნივერსიტეტში მობილობით გადმოსული სტუდენტის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში გავლილი კრედიტები ასახული იქნას დიპლომის დანართში.
(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 ივლისის №04-01/47 დადგენილებით)

მუხლი 4². ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის №04-01/49 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

1. ხელოვნების უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დამლევიტ შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის. აღიარების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის წერილობითი განაცხადი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

2. სტუდენტი ვალდებულია განაცხადთან ერთად წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი.

3. აღიარებას ექვემდებარება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კრედიტების აღიარების მიზნით ხელოვნების უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)*

5. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

6. ხელოვნების უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

7. კრედიტების აღიარების მიზნით შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იქმნება კომისია.

8. კომისიის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე აკეთებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის ათვისების წესი

1. ხელოვნების უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული,

რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ კურსის/მოდული ასათვისებლად შესრულებული სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სამემსრულებლო მიმართულებით არაუმეტეს 15 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო, თეორიული მიმართულებით არაუმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე 1 კრედიტი არაუმეტეს 6 საკონტაქტო საათი. ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში დასაშვებია 1 კრედიტში განისაზღვროს არაუმეტეს 10 საკონტაქტო საათისა, ამასთან, პროგრამის საკონტაქტო საათების სრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 720 საათს. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 ოქტომბრის №7 და 2018 წლის 12 დეკემბრის №04-01/33 დადგენილებებით)**

3. მუსიკის ფაკულტეტზე ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი დატვირთვის განსხვავებული თანაფარდობა. სამემსრულებლო მიმართულებით: უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ფორტეპიანოს სპეციალობით 1 კრედიტში არაუმეტეს 3 საკონტაქტო საათი; სპეციალობა - აკადემიური სიმღერა, საორკესტრო, ჩასაბერი, სასულე - 3,5 საკონტაქტო საათი; ვოკალური ანსამბლი, კამერული სიმღერა, საოპერო კლასი და გუნდი - 15 საკონტაქტო საათი; ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი, კამერული ანსამბლი, საკვარტეტო კლასი - 15 საკონტაქტო საათი; საორკესტრო კლასი - 20 საკონტაქტო საათი; თეორიული მიმართულებით: 10 საკონტაქტო საათი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 დეკემბრის №04-01/33 დადგენილებით)**

31. სოციალური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამაზე 5-ზე ნაკლები სტუდენტის დარჩენის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო დისციპლინებში კრედიტების მინიმალური ოდენობის (1 კრედიტი არაუმეტეს 5 სააუდიტორიო საათი) განსაზღვრის, ან სოციალური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის ძირითადი დატვირთვის საათობრივი დატვირთვის ნაწილში გადატანის შესახებ. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

4. ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო წელი ორსემესტრიანია. სემესტრი მოიცავს 19 კვირას, აქედან:

- 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო მუშაობას;
- 4 კვირა – საგამოცდო სესიებს.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს სააუდიტორიო მუშაობისათვის კვირათა განსხვავებული რაოდენობა.

6. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო, შემოქმედებით, სამეცნიერო, საწარმოო და სხვა პრაქტიკას;
- გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
- შემოქმედებით სამუშაოს, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობას;
- შემოქმედებითი სამუშაოს ან სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას.

7. სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ინდივიდუალური სწავლების პროგრამის შემუშავება.

ინდივიდუალურ სასწავლო პროგრამას სტუდენტთან ერთად შეიმუშავებს პროგრამის

ხელმძღვანელი, რომელიც განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მიღებული რეკომენდაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. დამტკიცების შემდეგ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იქნას აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული ვადები (სემესტრის და სასწავლო წლის დაწყება/დასრულება). **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04- 01/41 დადგენილებით)**

7¹. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენისას კრედიტის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს: თეორიული მიმართულებით 1 კრედიტი არაუმეტეს 5 სააუდიტორიო საათი, ხოლო საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულებით (გარდა მუსიკის ფაკულტეტისა) 1 კრედიტი არაუმეტეს 6-7 საათი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 სექტემბრის №04-01/03 დადგენილებით)**

8. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა: მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა და სხვ.).

9. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

10. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

11. აკადემიური და სპეციალისტთა პერსონალი ვალდებულია თავისი ინდივიდუალური დატვირთვის ფარგლებში აწარმოოს სასწავლო პროცესი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მიაწოდოს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული განათლება. ასახოს კონკრეტული სასწავლო კურსის/მოდულის გეგმით გათვალისწინებული კრედიტების აღების პირობები სილაბუსში, რომელიც წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისთვის.

სილაბუსში უნდა აისახოს:

- სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება;
- სწავლების საფეხური;
- კურსის ტიპი;
- სასწავლო კურსის კოდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის/ფაკულტეტის სახელწოდება;
- ECTS კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- ინფორმაცია პროფესორის/მასწავლებლის შესახებ (სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, სადაც მუშაობს აკადემიური პერსონალი/მასწავლებელი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
- სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი;
- სასწავლო კურსის/მოდულის შესწავლის წინაპირობები;

- სწავლებისა და სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები;
- სავალდებულო ლიტერატურა;
- დამატებითი ლიტერატურა;
- სწავლის შედეგები.

სილაბუსი განიხილება შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)**

12. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

13. სტუდენტის შეფასება: **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

1) სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

2) შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში. სასწავლო კურსის სპეციალისტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთო ქულიდან განსაზღვროს შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 იანვრის №04- 01/43 დადგენილებით)**

3) დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

4) შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

5) შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

6) შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სასწავლო კურსის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04-01/41 და 2019 წლის 14 იანვრის №04-01/43 დადგენილებებით)**

7) საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

14. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

15. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

15¹. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)**

15². სასწავლო დისციპლინაში შუალედური შეფასების კომპონენტებს განსაზღვრავს სასწავლო

კურსის პროფესორი/მასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. **(ცვლილება შეტანილია აკადემიურისაბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 დადგენილებით)**

16. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.

17. შეფასების სისტემა უშვებს: **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) A – ფრიადი - შეფასების 91- 100 ქულა;

ა.ბ) B – ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) C – კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) D – დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა;

ა.ე) E – საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

17¹. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის/დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“-ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის**

№04-01/04 დადგენილებით)

17². სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

17³. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

17⁴. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04- 01/04 დადგენილებით).**

18. სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)**

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

19. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის მე-5 მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 და 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებებით)*

19¹. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №04-01/04 დადგენილებით)*

20. სტუდენტი უფლებამოსილია შუალედური გამოცდის/პერიოდული შეფასების ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს და მოითხოვოს მიღებული შეფასების გადახედვა.

საჩივარი განიხილება მისი წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აკადემიური პერსონალის/სპეციალისტის მიერ ან დეკანის გადაწყვეტილებით კომისიური წესით. საჩივრის განმხილველ კომისიაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის დეკანი, იმ სასწავლო კურსის ლექტორი, რომლის შეფასების გასაჩივრებაც მოხდა და ფაკულტეტიდან შესაბამისი დარგის სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომისიური წესით საჩივრის განხილვისას აგრეთვე მოიწვევა საჩივრის ავტორი სტუდენტი.

იმ შემთხვევაში, თუკი საჩივართან დაკავშირებით მიღებული იქნება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 მარტის №04-01/32 და 2019 წლის 06 თებერვლის №04-01/49 დადგენილებებით)*

20¹. *(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის №04-01/54 დადგენილებით)*

20². სასცენო ხელოვნების მიმართულების სტუდენტს, რომელიც მიიღებს უარყოფით „(F) ჩაიჭრა“ შეფასებას „მსახიობის ოსტატობაში“, ეკრძალება სწავლის გაგრძელება აღნიშნული საგნის მომდევნო ეტაპზე და მან განმეორებით, მომდევნო სასწავლო წლის კურსთან ერთად, უნდა გაიაროს საგანი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2011 წლის 15 დეკემბრის №92 დადგენილებით)*

21. სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნ(ებ)ის დარეგისტრირების მიზნით.

21¹. სტუდენტს უფლება არა აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუ მისი შესწავლის წინაპირობა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი („F ჩაიჭრა“) შეფასება. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის №04-01/13 დადგენილებით)*

22. სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის („FX ვერ ჩააბარა“) და არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს), უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდებისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F ჩაიჭრა“) შეფასებით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04-01/41 დადგენილებით)*

22¹. თუ სტუდენტმა შეასრულა სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიმდინარე შეფასებაში დააგროვა არანაკლებ 21 ქულა და საპატიო მიზეზის გამო ვერ გავიდა დასკვნით გამოცდაზე, უფლება აქვს დასკვნით გამოცდაზე წარდგეს განმეორებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში, რომელიც ფორმდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 22 მარტის №04-01/29 დადგენილებით)*

22². 22¹ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ვრცელდება კურსდამამთავრებელზე, რომელმაც შეასრულა პროგრამით/სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაგრამ საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დაიპლომის დაცვაზე/საკვალიფიკაციო გამოცდაზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი სარგებლობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-7 და

მე-8 მუხლებით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №04-01/34 დადგენილებით)*

23. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით 100-ქულიანი სისტემით ხდება აგრეთვე პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

23¹. სტუდენტთა წერთი დავალებები და საგამოცდო ნაშრომები უნდა ინახებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში 1 წლის განმავლობაში. *(დამატებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის №04-01/49 დადგენილებით)*

24. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას დანართი 1-ის შესაბამისად). რეგისტრაცია ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

ა) აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო წლისათვის დაარეგისტრიროს არაუმეტეს 75 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსები.

ბ) გასულ სასწავლო წელში 15 და ნაკლები კრედიტის აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტი დამდეგი სასწავლო წლისთვის არეგისტრირებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამით შესაბამისი სემესტრებში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს, ისე გასულ სასწავლო წელს აუთვისებელ კურსებსაც.

გ) უცხო ენაში სტუდენტთა დონეების დადგენისა და შესაბამისი ჯგუფების ფორმირების მიზნით, უცხო ენის პედაგოგი სასწავლო წლის დასაწყისში, ფაკულტეტების მიერ დადგენილ ვადებში, ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ან გამოცდას. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ნოემბრის №04-01/11 დადგენილებით)*

24¹. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო კურსი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი კურსის პედაგოგთან შეთანხმებით, გაიაროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, დეკანის მიერ დადგენილი განრიგის შესაბამისად. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №04-01/05 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

24². საგნის/საგნების ინდივიდუალურად გავლის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი დისციპლინის პედაგოგთან შეთანხმებით კრედიტში/კრედიტებში საათების განსხვავებულ რაოდენობას ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №04-01/05 დადგენილებით)*

25. დამატებით სპეციალობაზე ან არჩევით კურსზე (კურსებზე) დასარეგისტრირებლად სტუდენტი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს. თუ დამატებით საგანმანათლებლო ან არჩევით კურსზე (კურსებზე) პროგრამაზე სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება პროგრამით გათვალისწინებულ კონტინგენტს, ფაკულტეტის მიერ განისაზღვრება პროგრამაზე დაშვების პირობა. დამატებით სპეციალობაზე სტუდენტის დაშვების შესახებ სამართლებრივ აქტს გამოსცემს რექტორი დეკანის წარდგინებით. სტუდენტის მიერ დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დარეგისტრირებული საგნები/მოდულები აისახება აგრეთვე სასწავლო ხელშეკრულებაში. თუ დამატებით სპეციალობაზე სტუდენტთა რაოდენობა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია, სტუდენტმა უნდა აირჩიოს სხვა დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები.

25¹. უცხო ენის არჩევის შემთხვევაში სტუდენტს უტარდება ტესტირება უცხო ენის შესაბამისი

დონის განსაზღვრისათვის. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 7 აპრილის №04-01/14 დადგენილებით)*

26. სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში შეუძლია შეცვალოს სასწავლო ხელშეკრულება პირადი განცხადების საფუძველზე.

27. 24-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ ეტაპზე. სტუდენტის მიერ ათვისებულ და ასათვისებელ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსსა და სწავლის საფასურში არსებული განსხვავების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია დამატებით

დაარეგისტრიროს განსხვავებული სასწავლო კურსები და გადაიხადოს სწავლის საფასური იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, რომელზეც დარეგისტრირდება.

27¹. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს ოთხი სემესტრის მანძილზე.

დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანატის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად.

სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04-01/26 დადგენილებით)*

28. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ფაკულტეტის მდივანი;
- შესაბამისი დეპარტამენტის სპეციალისტი.

29. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

30. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

31. ხელოვნების უნივერსიტეტში გამოიყენება, აგრეთვე, სტუდენტის/ კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA). შეფასების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სასწავლო კურსის/მოდულის შესაბამისი კრედიტების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ ამავე კურსში მიღებული შეფასების (ქულის) ნამრავლთა ჯამი იყოფა კრედიტების ჯამზე. $GPA = \frac{\sum GP \times CR}{\sum CR}$, სადაც GP - წარმოადგენს კონკრეტულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებას (ქულას), ხოლო CR - აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტის.

32. შეფასების 5 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა: ფრიადი (5) – 95 ქულა (A ფრიადი); კარგი (4) – 85 ქულა (B კარგი); საშუალო (3) – 65 ქულა (D საშუალო).

„ჩათვლა“ შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

შეფასების 10 ქულიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადასაყვანად გამოიყენება შემდეგი სქემა: ფრიადი (9-10) – 91-100 ქულა (A ფრიადი); კარგი (6-7-8) – 71-90 ქულა (B კარგი); საშუალო (3-4-5) – 51-70 ქულა (D საშუალო).

„ჩათვლა“ შეფასების ექვივალენტურ შეფასებად ჩაითვალოს სხვა საგნებში მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 იანვრის №32 დადგენილებით)*

მუხლი 5¹. ხელოვნების უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 07 მარტის №04-01/26 დადგენილებით)*

1. თავისუფალი მსმენელის სტატუსის მოპოვების უფლება აქვთ საქართველოსა და უცხოეთის სხვა უსდ-ს სტუდენტებს.

2. თავისუფალი მსმენელის უფლებები განისაზღვრება ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მსმენელთან დადებული ხელშეკრულებით;

3. ბაკალავრიატში თავისუფალი მსმენელის სტატუსის მინიჭება ხდება არაუმეტეს ორი სემესტრის ვადით რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. თავისუფალ მსმენელს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოისმინოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები სემესტრში არაუმეტეს 30 კრედიტის მოცულობით. მათი მოსმენისა და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი მიიღოს დამადასტურებელი სერტიფიკატი.

5. მაგისტრატურაში თავისუფალ მსმენელად შეიძლება ჩაირიცხოს დაინტერესებული პირი მაგისტრატურის მისაღები გამოცდების ჩაბარების გარეშე.

6. თავისუფალი მსმენელის სტატუსის მაძიებელი სასწავლო პროცესის დაწყებამდე 2 კვირით ადრე განცხადებით მიმართავს ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორს და თავისუფალი მსმენელის მიღების თაობაზე რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

7. თავისუფალი მსმენელისათვის სწავლის საფასური ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში განისაზღვრება სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობის შესაბამისად.

მუხლი 6. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის გაფორმება-წარდგენა *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 04 აპრილის №04-01/41; 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

1. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

2. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა შეიძლება დაადგინოს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შესრულებისა და შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, რომელიც უნდა აისახოს შესაბამის პროგრამაში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

3. დასაშვებია სამეცნიერო მიმართულებით საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ჯგუფური დაცვა. ამ შემთხვევაში სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ხარისხობრივად და რაოდენობრივად ერთნაირი ნამუშევარი. შეფასება ხდება საგანმანათლებლო

პროგრამაში გაწერილი კრიტერიუმებისა და მეთოდების მიხედვით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)*

4. საბაკალავრო პროექტის/თემატურის ტურის გაფორმების წესი ასახულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო „პროექტის/თემატურის ტურის“ სილაბუსში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)*

5. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციების მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული სპეციალისტი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ა) ეხმარება მაგისტრანტს ნაშრომის თემის შერჩევაში, ლიტერატურის შერჩევასა და დამუშავებაში;

ბ) ადგენს ნაშრომის გეგმას;

გ) პერიოდულად ამოწმებს თემაზე/ნაშრომის შემოქმედებით ნაწილზე მუშაობის პროცესს;

დ) გამოთქვამს შენიშვნებს და მაგისტრანტს უწევს შესაბამის კონსულტაციებს;

ე) ზრუნავს - ნაშრომის შესრულებაზე დადგენილი წესის შესაბამისად; *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)*

ვ) ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს წერილობით დასკვნას ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარსადგენად.

7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის/თემატურის ტურის და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის ურთიერთშეთანხმებით. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

8. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის/თემატურის ტურის და სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის თემას დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის საფუძველზე გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტი. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

9. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის/თემატურის ტურის თემის დამტკიცება უნდა მოხდეს მე-7 სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის თემის დამტკიცება - სწავლების მე-3 სემესტრში, ხოლო სამაგისტრო დასკვნითი პროექტის - პირველ სემესტრში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)*

9¹. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს ნაშრომის ავტორის წერილობითი დადასტურება ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ, კერძოდ, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ, წარმოადგენს მის ორიგინალურ ნამუშევარს და არ გამოუყენებია მითითებულის გარდა სხვა ლიტერატურა. აღნიშნული მიზნად ისახავს ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 აპრილის №04-01/49 დადგენილებით)*

9². საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაზე. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის №04-01/17 დადგენილებით)*

10. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი დასრულებული სახით და ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული, წარმოდგენილი უნდა იყოს დეკანატში დაცვამდე არაუგვიანეს 10 დღისა. წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის ელექტრონული ვერსია pdf/word-ის ფორმატში. *(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023*

წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)

11. თეორიული მიმართულებით საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი/თემატური ტური და სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი ითვალისწინებს თეორიული ნაშრომის ან პროექტის შესრულებას. მუსიკის ფაკულტეტზე საბაკალავრო ნაშრომის ნაცვლად ხდება საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების ჩაბარება. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)**

12. თეორიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს. პროექტის/დასკვნითი პროექტის/თემატური ტურის მოცულობა განისაზღვრება პროექტის თემატიკიდან გამომდინარე. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 და 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებებით)**

13. თეორიული ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს შემდეგი სტრუქტურით:

ა) თავფურცელი – წარმოადგენს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს. თავფურცელზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის დასახელება უნდა გამოიყოს ქვედა ნაწილისაგან 2- 3 სმ-ით, მომდევნო ხაზზე 1,5 ინტერვალით ფაკულტეტის დასახელება. შემდეგ აღინიშნება სტუდენტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში - ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა 16), ნაშრომის სათაურის შემდეგ იწერება სპეციალობის დასახელება და სამიებული ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი. თავფურცლის მარჯვენა მხარეს აღინიშნება თემის ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა ან აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცელის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ.: ბათუმი - 2018 წ.) **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

ბ) სარჩევი – თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება და საწყისი გვერდების ნომრების მითითებით;

ბ¹) ანოტაცია - ნაშრომს ერთვის ქართულ და ინგლისურ ენაზე. ანოტაცია წარმოადგენს ნაშრომის მოკლე შინაარსს, მოცულობა არაუმეტეს 150 სიტყვისა; **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 01 ივლისის №04-01/91 და 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებებით)**

გ) შესავალი – უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

დ) ძირითადი ტექსტი – იგი ასახავს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ე) სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა – წარმოადგენს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, სადაც უნდა აისახოს კვლევითი შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო; **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

ვ) საბაკალავრო ნაშრომის დასკვნაში უნდა აისახოს ნაშრომის ძირითადი შედეგები, რაც უნდა პასუხობდეს ნაშრომის მიზნებსა და დასმულ ამოცანებს; **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს, ანბანური თანმიმდევრობით. იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული ლიტერატურა რამდენიმე ენაზეა, იგი უნდა დაჯგუფდეს შემდეგი თანმიმდევრობით: ქართული, ლათინური ანბანი, კირილიცა სხვა ანბანები (არაბული, ივრითი და ა.შ.). **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ენაზე.

ლიტერატურული პირველწყაროს მითითებისას უნდა იქნეს დაცული შემდეგი სტილი (მიაქციეთ ყურადღება ლიტერატურის გაფორმების ყველა დეტალს: ფრჩხილების, წერტილ-მძიმის, იტალიკის ადგილმდებარეობას, ვინაიდან ლიტერატურის სიის ამგვარი გაფორმება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.)

მონოგრაფია: ავტორის გვარი, სახელი (წელი), წიგნის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

სტატია სტატიათა კრებულიდან: ავტორის გვარი, სახელი (წელი), სტატიის სრული სათაური.

სტატია კრებულში: კრებულის სრული დასახელება, რედაქტორის გვარი სახელი (სტატიის გვერდები), გამოცემის ადგილი, გამომცემლობა.

სტატია ჟურნალიდან/გაზეთიდან: ავტორის გვარი სახელი (წელი), სტატიის სრული სათაური, ჟურნალში/გაზეთში: ჟურნალის/გაზეთის სათაური, ნომერი, გვერდები.

სტატია ვებ-გვერდიდან: ავტორის გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება (ვებ-გვერდის დასახელება).

ნაშრომის ტექსტში დამოწმებული ლიტერატურის გაფორმება: ნაშრომის ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა ფორმდება შემდეგნაირად: ფრჩხილებში მოცემულია ავტორის გვარი, გამოცემის წელი, ციტატის(ან გამოყენებული აზრის) გვერდი.

სქოლიო: სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავი/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა -

10. სქოლიოს ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველი გვერდიდან ან იყოს გამჭოლი.

თ) საილუსტრაციო მასალა (არსებობის შემთხვევაში).

14. საშემსრულებლო მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მხოლოდ საშემსრულებლო-შემოქმედებითი ნამუშევრის შესრულება. საშემსრულებლო მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომი უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შემოქმედებითი ნამუშევრის შესრულებას;

ბ) შემოქმედებითი ნამუშევრის კვლევით ანალიზს, რომლის მოცულობას განსაზღვრავს შესაბამისი დეპარტამენტი ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

15. საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო ნაშრომის თეორიული კვლევითი ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას: **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04- 01/44 დადგენილებით)**

ა) ყდაში აკინძული;

ბ) ტექსტი უნდა აკრიფოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;

გ) შრიფტის სახე – Sylfaen;

დ) შრიფტის ზომა – 12;

ე) სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;

ვ) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხენა – 3 სმ, მარჯვენა – 1,5 სმ, ზემოთ – 2 სმ, ქვემოთ – 2 სმ.

16. პროექტის/დასკვნითი პროექტის/თემატური ტურის/კვლევითი ანალიზის თავფურცელი უნდა გაფორმდეს ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

17. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის პროცედურა (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 12 ნოემბრის №04-01/21 და 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44

დადგენილებებით)

1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე/გამოცდებზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში.

(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)

2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის/პროექტის დაცვის პროცედურა საჯაროა. თეორიული მიმართულებით ნაშრომის/პროექტის წარდგენისთვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი, ხოლო სამემსრულებლო მიმართულებით შემოქმედებითი ნამუშევრის წარდგენის დრო და ფორმატი განისაზღვრება ხელმძღვანელის მიერ. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

3. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის/პროექტის თემას, სპეციალობას და ხელმძღვანელს. ამის შემდეგ ნაშრომს/შემოქმედებით ნამუშევარს/პროექტს წარადგენს სტუდენტი. სტუდენტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის/შემოქმედებითი ნამუშევარის/პროექტის მიზნები, ამოცანები და ძირითადი შედეგები. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება ნაშრომი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით პროგრამით დადგენილ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

6. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

8. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

9. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

10. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

11. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

12. ილუსტრატორის ობიექტური მიზეზით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობისას საკვალიფიკაციო გამოცდა/გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვროს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივნისის №04-01/36 დადგენილებით)**

13. კურსდამამთავრებლის თხოვნით საკვალიფიკაციო გამოცდის ინდივიდუალურად დანიშვნის შემთხვევაში კომისიის მოწვევის ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება კურსდამამთავრებელს. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივნისის №04-01/36 დადგენილებით)**

14. სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომში/პროექტში, საკვალიფიკაციო გამოცდაში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების ორჯერ მიღების შემთხვევაში შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 07 ივნისის №04-01/44 დადგენილებით)**

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის დაცვა (ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)

1. მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი,

საშემსრულებლო მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამით შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი და კვლევითი ანალიზი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

2. მუსიკის ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვა შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) საშემსრულებლო (საკვალიფიკაციო გამოცდა/გამოცდები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით);

ბ) კვლევითი კომპონენტი.

3. მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე საშემსრულებლო მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.

4. მაგისტრანტი ვალდებულია დეკანატის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი და წარდგეს სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის საჯარო დაცვაზე. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

5. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის წინასწარი განხილვა ხდება შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტში. დეპარტამენტი განიხილავს შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შესაბამისობას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის მიმართ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მაგისტრანტს რეკომენდაციებს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. წინასწარი განხილვის გარეშე ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე. საშემსრულებლო მიმართულებით მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შემოქმედებითი ნამუშევარი და კვლევითი ანალიზი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

6. განხილული სამაგისტრო ნაშრომისათვის დეპარტამენტი გამოყოფს რეცენზენტს. რეცენზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 2 კვირის განმავლობაში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

7. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის დაცვა ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიაზე. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობას, მის თავმჯდომარესა და მდივანს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

8. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ სამი წევრისა.

9. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის დაცვის თარიღს ადგენს ფაკულტეტის დეკანი დაცვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. დაცვის ორგანიზებისათვის ფაკულტეტის დეკანს შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი დეპარტამენტი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

10. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

11. დაცვა არის საჯარო. დაცვის პროცესზე და შედეგზე უნდა შედგეს ოქმი.

12. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:

ა) სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენას (საშემსრულებლო მიმართულებით: შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი და კვლევითი ანალიზი);

ბ) დისკუსიას;

გ) შეფასებას. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

13. საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს აცნობს რეცენზენტის შეფასებას.

14. საჯარო დაცვის პროცედურა გულისხმობს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შეფასებას საკვალიფიკაციო კომისიის დახურულ სხდომაზე. **(ცვლილება შეტანილია**

აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)

15. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს/დასკვნით პროექტს აფასებენ 100 ქულიანი სისტემით და ითვალისწინებენ შესაბამისი პროგრამით დადგენილ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებს. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

16. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შეფასება ხდება საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

17. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებას სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შეფასების შესახებ მაგისტრანტს აცნობს საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დამთავრებისთანავე. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

18. დაცვის პროცედურის შესახებ ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი. საკვალიფიკაციო კომისიის თითოეული წევრი სამაგისტრო ნაშრომისათვის/პროექტისათვის/დასკვნითი პროექტისათვის მინიჭებულ ქულას აფიქსირებს შეფასების ფურცელში და ადასტურებს პირადი ხელწერით. შეფასების ფურცლებიდან სპეციალურ ოქმში (დანართი №2) შეფასებები გადააქვს კომისიის მდივანს, აქვე ფიქსირდება საბოლოო შეფასებაც. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები ხელმოწერით ადასტურებენ შეფასებას. შეფასების ფურცლები და საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები გადაეცემა დეკანატს და ისინი ინახება მაგისტრანტის პირად საქმეში. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

19. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის შეფასება ხდება საკრედიტო სისტემის შეფასების შესაბამისად, მე-5 მუხლის პუნქტი 17-ის მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი ითვლება შესრულებულად, თუ საკვალიფიკაციო კომისია სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს/დასკვნით პროექტს შეაფასებს მაქსიმალური შეფასების 51-100 ქულით. თუ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულით, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. თუ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულით, მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის/პროექტის/დასკვნითი პროექტის წარდგენის უფლებას. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

20. სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/დასკვნითი პროექტი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

21. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომში/პროექტში/დასკვნით პროექტში, საკვალიფიკაციო გამოცდაში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების ორჯერ მიღების შემთხვევაში შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

მუხლი 9. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

2. **(ამოღებულია - აკადემიური საბჭოს 2013 წლის 1 ნოემბრის №04-01/63 დადგენილებით)**

3. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც გამოიცემა რექტორის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კურსდამთავრებულთათვის დიპლომის გაცემის შესახებ. **(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 სექტემბრის №04-01/01 დადგენილებით)**

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №149

ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმის“ 4.5 პუნქტში კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე)“ დაფიქსირდეს კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA), კრედიტების სისტემით განსაზღვრული (წინამდებარე წესის მე-5 მუხლის 31-ეპუნქტი) შეფასების მითითებით.

5. კურსდამთავრებულზე, რომლის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) არის არანაკლებ 3.5 (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტთა 75%-ში შეფასება „A“, დანარჩენ 25%-ში კი შეფასება „B“) გაიცემა „წარჩინების“ დიპლომი. ***(ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 ივნისის № 04- 01/78 და 2023 წლის 12 ივლისის № 04- 01/46 დადგენილებებით)***

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
სასწავლო ხელშეკრულება**

სტუდენტის გვარი, სახელი:
პირადი ნომერი:
ფაკულტეტი:
ძირითადი სპეციალობა:
დამატებითი სპეციალობა:
უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელი:

საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და სპეციალობის მოდულები/სასწავლო კურსები

N	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

დამატებითი სპეციალობის ან არჩევითი კურსის მოდულები/სასწავლო კურსები

N	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

ხელმეორედ შესასწავლი მოდულები/სასწავლო კურსები

N	მოდული/სასწავლო კურსი	კრედიტი	სემესტრი	შენიშვნა

სტუდენტის მიერ _____ სასწავლო წლისათვის დარეგისტრირებული მოდულები/სასწავლო კურსები

ვადასტურებ, რომ ვიცნობ ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესს და შესაბამისად, ამ წესის მე-5 მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას.
თარიღი:
ხელმოწერა:

ვადასტურებ, რომ ხელოვნების უნივერსიტეტში სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა _____ სასწავლო წლისათვის აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით ფაკულტეტთან გააფორმა წინამდებარე სასწავლო ხელშეკრულება.
ფაკულტეტის დეკანი:
თარიღი:
ხელმოწერა:

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
საკვალიფიკაციო კომისიის
შემაჯამებელი სხდომის ოქმი N

„ _____ 20 წ.

ფაკულტეტი _____

სამაგისტრო სპეციალობა _____

მაგისტრანტი (სახელი, გვარი) _____

_____ სამაგისტრო ნაშრომის თემა

_____ სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ:

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე _____

(აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

საკვალიფიკაციო კომისიის წევრები (აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი, სახელი, გვარი)

1. _____

2. _____

3. _____

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი: _____

(სახელი, გვარი)

სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვალიფიკაციო კომისიის
ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულა:

N	საკვალიფიკაციო კომისიის წევრი	აკადემიური თანამდებობა/აკადემიური ხარისხი	შეფასება (0-100ქულა)

სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა (შეფასება განისაზღვრება ცალკეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით) „_____“ ქულით.

საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა დასტური, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაზე კომისიის წევრთა ხელწერები:

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე _____

1. _____

2. _____

3. _____

საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი _____

შენიშვნა:

- საბაკალავრო ნაშრომი ფორმდება იმავე წესით, როგორც სამაგისტრო ნაშრომი.
- ოქმი ინომრება ცალკეული მაგისტრანტისთვის დაცვის რიგითობის შესაბამისად. დაცვის შემდეგ ოქმი გადაეცემა დეკანატს. ოქმის მართებულ წარმოებაზე პასუხისმგებელია საკვალიფიკაციო კომისიის მდივანი და თავმჯდომარე.